6501

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათი, 10 ოქტომბერი, 1942 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 38 (249). ფასი 30 კაპ.

სამამულო ომი საბჭოთა მწერლის შემოქმედებაში

დღიდან სამამულო ომის დაწყებისა მთელი საბჭოთა მწერლობა და ხელოვნება, კერძოდ ქართული საბჭოთა მწერლობა მუშაობს ერთს ძირითად თემაზე—გერმანელ დამპყრობელთაგან ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების თემაზე და ამ თემასთან ორგანიულად დაკავშირებულ ნაწარმოებთა შექმნაზე.

სამამულო ომმა გარდაქმნა და გააღრმავა ჩვენი აზრები და გრძნობები, უფრო გაამდიდრა და მეტის შინაარსით აღჭურვა საბჭოთა ადამიანის სიყვარული თავისი ქვეყნისადმი.

საბჭოთა ქვეყნის შვილს ყოველთვის განუსაზღვრელად უყვარდა და უყვარს თავისი სამშობლო, და მწერალიც თავის წმინდა მოვალეობად თვლიდა თავისი შემოქმედებით—თავისი ლექსით, პოემით თუ მოთხრობით გამოეხატა ეს მაღალი და წმინდა გრძნობა. სამამულო ომის პირველ დღეებიდანვე საბჭოთა ადამიანის პატრიოტული აღტყინების ასახვა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში უეჭველად ახალ და უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. მაგრამ ამ დიდი მორალური თვისების გამოხატვას მაინც აკლდა ის რეალურობა და კონკრეტულობა, რომელსაც ცხოვრების გამოცდილება იძლევა. ჩვენ, საბჭოთა მოქალაქეებმა, რომლებმაც ამ ერთი წლის მანძილზე ვნახეთ, თუ რა მხეცური დაუნდობლობით სთელავენ და სჯიჯგნიან გერმანელი ბარბაროსები ჩვენი სამშობლოს სხეულს, უეჭველია, ახლებურად, უფრო მეტის სიმწვავით და სიღრმით განვიცადეთ ძალა სამშობლოს სიყვარულისა, მისთვის თავის დადებისა.

თავისუფლებისმოყვარე საბჭოთა ხალხი იმთავითვე იზრდებოდა შუა საუკუნეების ბნელეთის მოციქულის—ფაშიზმისადმი შეურიგებელი სიძულვილის გრძნობით. ომმა ასწავლა ჩვენს ხალხს უფრო რეალური, უფრო მწვავე და კონკრეტული სიძულვილი პირსისხლიანი მტრისადმი. წმინდა შურისძიების ცეცხლს, რომელიც ამჟამად საბჭოთა ადამიანის გულში გიზგიზებს, სწორედ ეს შეგნებული სიძულვილი ასაზრდოებს. დღეს საბჭოთა ადამიანების სიძულვილის გრძნობა გამხეცებული მტრისადმი ბევრად უფრო მწვავე, ბევრად უფრო სასტიკია იმაზე, რაც ჩვენმა მწერლობამ გამოხატა ომის პირველ დღეებში შექმნილ ნაწარმოებში. საბჭოთა მკითხველი მოითხოვს დღეს საბჭოთა ნაწარმოებში უფრო რეალურად და უფრო კონკრეტულად შეისხას ხორცი მტრისადმი ჩვენი ხალხის დაუცხრომელმა სიძულვილმა.

ჯერ კიდევ ომამდეც, საბჭოთა მწერალს აღფრთოვანებდა **ლენინ-სტალინის** პარტიის მიერ აღზრდილი ადამიანების შრომითი გმირობა და სიმამაცე, იგი შეძლებისდაგვარად ასახავდა საბჭოთა ადამიანის ამ წარმტაც მორალურ თვისებას. მაგ. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში საბჭოთა პატრიოტის გმირობა გააოცებდა მთელს კაცობრიობას. მაგრამ ჩვენი წარმოდგენა საბჭოთა ადამიანის ვაჟკაცობაზე, გამძლეობასა და სიმტკიცეზე მაინც ზოგადი და რაძდენადძე განყენებული იყო. დღეს, სამამულო ომის ძეთექვსმეტე თვეზე, სიმაძაცისა და ვაჟკაცობის თემა არნახული ძალით და სიდიადით გაიხსნა ჩვენს წინაშე უამრავ გმირ ადამიანთა სახეებში. ომამდე და განსაკუთრებით ომის პირველ დღეებში ჩვენ ბევრს ვწერდით საბჭოთა მებრძოლზე, მის უშიშრობასა და შეუპოვრობაზე, მის თავგანწირულებაზე, მაგრამ მხოლოდ სამამულო ომმა გამოკვეთა, შეავსო საბჭოთა მებრძოლის სახე ისეთი გმირული თვისებებით, რომელთა ბრწყინვალე მაგალითი მოგვცეს კაპიტანმა გასტელომ, კომკავშირელმა სოსნოვსკიმ, კაპიტანმა ბუხაიძემ, 28 პანფილოველმა გვარდიელმა და მრავალმა სხვა შეუპოვარმა და შეუდრეკელმა მებრძოლმა.

ამ ერთი წლის მანძილზე ქართული საბჭოთა მწერლობა ზემოაღნიშნულ თემებს ამუშავებდა. დაიწერა და გამოქვეყნდა ლექსები და მოთხრობები, მხატვრული ნარკვევები და პუბლიცისტური წერილები, სადაც უმთავრესად საბჭოთა ადამიანის მაღალ გრძნობებზე, განცდებსა და აზრებზე არის ლაპარაკი. ომმა ყოველ ჩვენგანს მისცა ცხოვრების დიდი გამოცდილება, ყოველი ჩვენგანი აღჭურვა სინამდვილის ცოდნით. დადგა დრო შევამოწმოთ ჩვენი გამოცდილების მიხედვით ყველაფერი ის, რაც აისახა და დაიწერა სამამულო ომის ადამიანებზე, დროა კვლავ განვაახლოთ შემოქმედებითი დისკუსიები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა ომის განმავლობაში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებზე და შევაფასოთ ისინი იმის მიხედვით, თუ რამდენად სწორად, კონკრეტულად არის ასახული მათში სულიერი სილამაზე და ხასიათის სიმტკიცე საბჭოთა ადამიანისა, რომელიც საარაკო შეუპოვრობით გაუმკლავდა და უმკლავდება ბარბაროსული ფაშიზმის სამხედრო მანქანას და საშინელი ომის წარმოუდგენელ სიმძიმეს.

ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა—მოურიდებლად და პირდაპირ ვილაპარაკოთ ყველა ნაწარმოებზე, შევამოწმოთ იგი სინამდვილის მიხედვით, ცხოვრების მიხედვით, გამოვამეღავნოთ და გავაკრიტიკოთ მასში ყველაფერი ის, რაც არ შეესაბამება რეალურს, ის რაც შემთხვევითი და ყალბია, მოვიწონოთ ის ნაწარმოები, სადაც ასახულია ჩვენი სინამდვილის არსებითი მხარეები, სადაც აღბეჭდილია საბჭოთა ადამიანის ხასიათის მაღალი თვისებები, ნაწარმოებები, რომლებიც მილიონებს მოუწოდებენ და აღფრთოვანებენ გადამწყვეტი და შეუდრეკელი ბრძოლისათვის, ჩვენი სამშობლოს წმინდა მიწა-წყლის გასანთავისუფლებლად გერმანელ დამპყრობელთაგან.

◇◇◇

„ლიტერატურისმცოდნეობის საფუძვლები"

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა სიმ. გაჩეჩილაძის „ლიტერატურისმცოდნეობის საფუძვლები". წიგნში მოცემულია ლიტერატურისმცოდნეობისა და მისი მთავარი ნაწილების მიმოხილვა, პოეტიკის განვითარების მოკლე ისტორია, მარქსიზმის კლასიკოსების აზრი ლიტერატურის შესახებ, განხილულია ლიტერატურისა და ხელოვნების რაობა, ლიტერატურის ხალხურობის, კლასიურობისა და პარტიულობის პრობლემა, ფორმისა და შინაარსის საკითხები. წიგნის შემდეგი ნაწილი ეხება ლიტერატურის ისეთ საკითხებს, როგორიცაა თემა და იდეა, ნაწარმოების კომპოზიცია, სიუჟეტი, სახე, ტიპიზაცია, პოეტური ენა, ლექსი და პროზა, ქართული ლექსი, ლიტერატურის განვითარების პროცესი და სხვ.

„ლიტერატურისმცოდნეობის საფუძვლების" გამოცემა მეტად დროული და სასარგებლო საქმეა. იგი სერიოზულ დახმარებას გაუწევს განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობას.

წიგნი შეიცავს 434 გვერდს და ღირს 20 მან.

„სამშობლოსათვის თავდადების იდეა ქართულ საბჭოთა პოეზიაში"

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა სერგო ჭილაიას წიგნი „სამშობლოსათვის თავდადების იდეა ქართულ საბჭოთა პოეზიაში". წიგნის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, თუ როგორ ყალიბდებოდა ისტორიულად ახალ ქართულ ლიტერატურაში პატრიოტიზმის იდეა. შემდეგ ვრცლად განხილულია თანამედროვე ქართულ საბჭოთა პოეზიის წარმომადგენლების, მოწინავე საბჭოთა პოეტების ლექსები პატრიოტიზმის თემაზე.

წიგნი შეიცავს 51 გვერდს და ღირს 2 მანეთად.

„თამარი და დავითი"

„ზარია ვოსტოკას" გამომცემლობამ გამოსცა რუსი მწერალი ქალის ა. ვოინოვას წიგნი „თამარი და დავითი". წიგნში შეტანილია რამდენიმე თავი ამავე სახელწოდების რომანიდან, რომელიც ასახავს თამარ მეფის ეპოქას, თამარის დროინდელ საქართველოს საზოგადოებრივ და კულტურულ ვითარებას და მის ურთიერთობას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან. რომანის ცენტრში მოქცეულია თამარის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა და მისი პირადი ბედიღბალი. წიგნი შეიცავს 140 გვერდს და ღირს 4 მანეთად.

საქართველო და ინგლისი

წერილი მეორე

ლევან ასათიანი

1.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე ინგლისში ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ქართველი ხალხის შესახებ. ოლივერ უორდროპი, ცნობილი ავტორი წიგნისა „საქართველოს სამეფო", 1888 წელს დანანებით შენიშნავდა, რომ ინგლისში „კარგად განათლებულმა ხალხმაც კი იმის მეტი არა იცისრა, რომ საქართველო განთქმულია ლამაზი ქალებით, მაგრამ ის კი დანამდვილებით არ იციან,—სპარსეთის, სათათრეთისა და რუსეთის მფლობელობაში იმყოფებიან ეს მშვენიერი არსებანი. ეგ რად გინდათ—ათასში ერთმა ძლივს იცის, რომ ქართველები და ჩერქეზები სხვადასხვა ხალხიაო" („ივერია" 1888 წ. № 257).

საქართველოს შესწავლა ალბიონის ჩისლიან ქვეყანაში იწყება მხოლოდ გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან. იმ ხანებში გამოვიდა ქართულიდან ინგლისურ ენაზე ნათარგმნი პირველი წიგნები. მათი მთარგმნელი იყო დოქტორი ს. ც. მალანი.

ოთხმოციანი წლების ნახევარში ს. ც. მალანის საქმე განაგრძო ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ვ. მორფილმა.

მაგრამ საქართველოს სერიოზული შესწავლის საქმეს ინგლისში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მხოლოდ ოთხმოციანი წლების დამლევს, როდესაც ლონდონში გამოიცა ოლივერ უორდროპის ცნობილი წიგნი საქართველოზე.

ოთხმოცდაათიან წლებში მოღვაწეობას იწყებს მარჯორი უორდროპი, რომელმაც ძმასთან ერთად, დაუფასებელი შრომა გასწია ქართველი ხალხის კულტურული საგანძურის გამოკვლევისათვის ინგლისში.

2.

პირველი ინგლისელი მეცნიერი, რომელმაც შეისწავლა ქართული ენა და მხურვალე ინტერესი გამოიჩინა საქართველოსადმი, იყო თეოლოგიის დოქტორი სოლომონ-კეისარი მალანი (1812-1894). 1867 წელს მან გადასთარგმნა და დაბეჭდა ინგლისურად მე-19 საუკუნის ქართველი ოქროპირისა და გამოჩენილი სასულიერო მოღვაწის, ქუთათელ ეპისკოპოსის გაბრიელის ქადაგებანი. მანვე სთარგმნა ინგლისურ ენაზე პლატონ იოსელიანის „ქართული ეკლესიის ისტორია" („ივერია" 1894 წ. № 262).

1894 წელს, როდესაც ს. ც. მალანი გარდაიცვალა, „ივერიამ" ინგლისურ გაზეთ „ტაიმს"-იდან მთლიანად გადმობეჭდა ნეკროლოგი მის შესახებ. „ტაიმსის" ცნობით ს. ც. ზალანი ერთ დროს კალკუტის უნივერსიტეტის პროფესორად იყო, 1843 წლიდან მოღვაწეობდა ოქსფორდში. „ტაიმსი"-სავე ცნობით, მალანი 1872 წ. სტუმრად სწვევია ბერეთის ეპისკოპოზ გაბრიელს და უქადაგნია ქართულად. მალანს თავისი მდიდარი წიგნთსაცავი შეუწირავს ოქსფორდში ინდოეთის ინსტიტუტისათვის, ხოლო საკუთარი ხელით 80 ენაზე დაწერილი ფსალმუნი—ბოდლეიანის წიგნთსაცავისათვის, ოქსფორდშივე. მის არქივში ქართულ ენაზე დაწერილი ხელნაწერებიც დარჩენილა (ივერია 1894 წ. № 262).

იმ ბიბლიოთეკაში, რომელიც მალანს ინდოეთის ინსტიტუტისათვის შეუწირავს ოქსფორდში, როგორც სჩანს, მეტად საგრძნობი რაოდენობით ყოფილა ქართული წიგნები და საჭირო გამხდარა ამ უკანასკნელთა კატალოგის შედგენა. ეს საქმე შეუსრულებია ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორ ვ. მორფილს, გამოჩენილ სლავისტს და მასთან ერთად ქართული ენისა და კულტურის ცნობილ მცოდნეს ინგლისში.

3.

პროფ. ვ. მორფილი საქართველოს ესტუმრა 1888 წლის მაისის გასულს. ოლივერ უორდროპის სიტყვით, ის ამ დროს სწერდა რუსეთის ისტორიას და გაჩხრეხული ჰქონდა ერთი თავი ამ თხზულებისა მიეძღვნა საქართველოსთვის.

გაზეთ „ივერიის" გადმოცემით, ვ. მორფილის საქართველოში ჩამოსვლის მიზანს შეადგენდა „ქართული ისტორიისა და ქართული ენის შესწავლა" („ივერია" 88 წ. № 138), მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ მორფილს ამ დროს ზოგადად უკვე შესწავლილი ქონდა როგორც ქართული ენა, ისე ქართველი ხალხის ისტორია და კულტურული წარსული. ამას ადასტურებს ოლ. უორდროპიც.

ვ. მორფილი თბილისში ჩამოსვლისთანავე სადარბაზოთ ეწვია „პირველ ქართველს" — ილია ჭავჭავაძეს.

ილია, საპასუხო დარბაზობის ნიშნად, თითონაც ეწვია ინგლისელ სტუმარს, რადგან კარგად ითვალისწინებდა მისი ჩამოსვლის საპატიო მიზანსა და მნიშვნელობას.

ილია ჭავჭავაძეს, როგორც ეტყობა, არა ერთხელ მიუწვეევია თავის ოჯახში ვ. მორფილი და გაუცვნია მისთვის ქართული მწერლობისა და საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები.

ილიას პიროვნებას და აგრეთვე მის შემოქმედებას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ინგლისელ მეცნიერზე. თავის წერილში „ქართული ენა და მწერლობა", ოქსფორდელი პროფესორი ასე ახასიათებს „განდეგილის" ავტორს: „ეხლანდელ პოეტთა შორის შეგვიძლიან დავასახელოთ... თავადი ილია ჭავჭავაძე, დიდათ განათლებული კაცი, განთქმული და ღირსეული პოეტი და დღეს დიდათ ცნობილი ლიტერატორი თბილისში".

ვ. მორფილმა ტფილისში ყოფნის დროს შეიძინა ყველა ქართული გამოცემანი, მთელი ის ლიტერატურა, რაც მას სჭირდებოდა თავისი თხზულებისათვის. ინგლისელი პროფესორი გაეცნო აგრეთვე ქართულ კულტურულ დაწესებულებებს.

ვ. მორფილი დაუახლოვდა ქართველ მოღვაწეებს და ლიტერატორებსაც. ბევრმა ქართველმა მწერალმა მას, საჩუქრად მიუძღვნა თავისი ნაწერები. ამ მოღვაწეთა შორის აღსანიშნავია იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც ინგლისელი მეცნიერისათვის გაუგზავნია ყველა თავისი სახელმძღვანელობები. „ივერიის" გადმოცემით, ვ. მორფილს, სამშობლოში დაბრუნებისთანავე (იმავე წლის ივნისში), წერილი გამოუგზავნია ცნობილი ქართველი პედაგოგისათვის: „თუმცა მოგზაურობის გამო მხოლოდ გადასინჯვა მოვასწარ თქვენის წიგნისა, მაგრამ მაინც ეხლავე შემიძლია ვსთქვა, რომ ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ეს წიგნები ქართულის ენისათვისო" („ივერია" 88 წ. № 138).

ვ. მორფილმა მთელი რიგი წერილები უძღვნა საქართველოს, ქართულ ენას, ქართულ მწერლობას. ერთი პირველთგანი მათ შორის იყო წერილი, რომელიც ვ. მორფილმა საქართველოდან დაბრუნების ახლო ხანებში მოთავსა ინგლისურ ჟურნალ „აკადემიაში", სათაურით „ქართული ენა და მწერლობა". ეს იყო, შეიძლება ითქვას, პირველი სერიოზული წერილი მთელს ინგლისურ ლიტერატურაში, რომელიც ეხებოდა ქართველი ხალხის ენასა და კულტურულ შემოქმედებას. „მე მგონია," ზოგს მკითხველს ჟურნალ „აკადემიისას" ეინტერესება,—ასე იწყებს თავის წერილს ვ. მორფილი,—თუ დღეს რა მდგომარეობაშია ენა და ლიტერატურა საქართველოსი, რომელზედაც ძალიან მცირე ცნობაა გავრცელებული ჩვენს ქვეყანაში. მართლაც, რომ გამოვაკლოთ შრომა პატივცემულ მამა მალანისა, რომელმაც გადმოთარგმნა ზოგი რამ ქართულ ხაეკლესიო თხზულებებიდან, არც ერთს ინგლისელ მწერალს თვით დღეკანდლამდე არ მოუკიდნია ხელი ამ საქმისათვის".

ავტორი შემდეგ ეხება ქართული ენის ადგილს სხვა ენათა ოჯახში, ქართულის მონათესავე ენებსა და დიალექტებს, მის აგებულობას და აგრეთვე გავრცელებას. მორფილი ემყარება ერკერტის ცნობილ შრომას „კავკასია და მისნი ერნნი" და აღნიშნავს, რომ ქართულ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის რაოდენობა უდრის ერთ მილიონ და ასი ათას კაცს. „ივერიის ენათა ოჯახობაში, — სწერს მორფილი,—ენა გიორგიანებისა, ანუ როგორც მკვიდრნი ეძახიან თავის თავს, — ქართველებისა,—არის ერთად ერთი ენა, რომელსაც შეუძლიან მოიწოონოს თავი იმით, რომ აქვს საკუთარი მწერლობა, და ეს მწერლობა გადაჭიმულია მთელის ათასის წლის მანძილზე, ამიტომ არის როგორც დიდის ხნისა, აგრეთვე ვრცელიცა. უმთავრესი ბუდე ქართულის მწერლობის არის მშვენიერი ქალაქი თბილისი, რომელიც თავისი მდებარეობით ერთი გასაოცარი ადგილთაგანია კავკასიაში...".

მორფილი მოკლედ მიმოიხილავს ქართული მწერლობის ისტორიას, ეხება საეკლესიო თხზულებათა პირველ თარგმანებს, შემდეგ საერო მწერლობის წარმოშობას და მის უმაღლეს განვითარებას მე-12 საუკუნეში. ჩერდება რუსთაველზე, ქართულ როსტომიანზე, საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონსა და „ვისრამიანზე".

ავტორი ამის შემდეგ მკითხველებს აცნობს მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურას და მის საუკეთესო წარმომადგენლებს: ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვახტანგ ორბელიანს, რაფიელ დაგორგი ერისთავებს. განსაკუთრებული მოწიწებით და პატივისცემით მორფილი ახასიათებს ილია ჭავჭავაძეს, როგორც „იმდროინდელი ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრალურ ფიგურას.

დასასრულ ავტორი თავის წერილში „სათანადოთ აფასებს იმ ისტორიკოსებისა და ფილოლოგების შრომას, რომლებმაც ბევრი ღვაწლი დასწიეს ქართული ენისა, ისტორიისა დ. წარსული კულტურის შესწავლა-გამომზეურების საქმისათვის—ეს მეცნიერები არიან დიმიტრი ბაქრაძე, პლატონ იოსელიანი, მარი ბროსსე, ბერეე და ალექსანდრე ცაგარელი (იხ. „ივერია" 1888 წ. № 171).

მორფილი გულმოდგინედ ადევნებდა თვალს ყოველ ახალ შრომას, რომელიც კი შეეხებოდა საქართველოს და ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებას. ის ერთი პირველ მეცნიერთაგანი იყო, რომელიც თანაგრძნობით გამოეხმაურა მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილ და 1894 წელს ლონდონში გამოცემულ „ქართულ ხალხურ ზღაპრებს". თავის რეცენზიაში, რომელიც ჟურნალ „აკადემიის" იმავე წლის აგვისტოს ნომერში იყო დაბეჭდილი, მორფილი სწერდა: „მრავალმა მგზავრმა აგვიწერა კავკასიისა და მის მკვიდრთა მშვენიერება. მაგრამ ეხლაც კი იმ ეროვნებათა სხვადასხვა ენისა ჩვენში არა იციან-რა, —ბროსეს, ცაგარლისა და უსლარის შრომათა მიუხედავთ. ამ ენათა შორის მხოლოდ ქართულს ენას და იმის მტოებს,—მეგრულს, ლაზურსა და სვანურს,—აქვს ლიტერატურა, რომელიც მე-8 საუკუნიდანვეა დაწყებული. ძალიან ბეჯნერი აზრი დაჰბადებია მისს უორდროპს, მოუწადინებია რა ჩვენი, ამ ნაკლებად ცნობილ ქვეყნის ფოლკლორთან, ზღაპრებთან და საერო ლიტერატურასთან გაცნობა. მამაცადაც შეუსრულებია თვისდა ნაკისრი საქმე; მამაცადაო ვამბობთ, რადგან ქართული ენა სავსეა ათასის სიძნელით. ამ ენის თანა სიძნელეს ზმნების გარჩევის მხრივ, მხოლოდ ბასკების ენაში თუ შეხვდებით. მართლაც, მსგავსება ამ ორ ენის ფორმებს შუა დიდია, თუმცა სიტყვებში საერთო არა არის-რა"... შემდეგ მორფილი ეხება ქართული ზღაპრების მსგავსებას აღმოსავლეთურ და რუსულ ზღაპრებთან და თავის წერილს ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „იმედი გვაქვს და დიდი იმედიც, რომ მისს უორდროპი აღასრულებს დაპირებას. ამ ზღაპრების კრებულის წინასიტყვაობაში გამოთქმულს, და დაბეჭდავს „ვეფხის ტყაოსნის" თარგმანს. —ამ მე-12 საუკუნის პოემასს, რომელსაც ეხლაც აღტაცებით კითხულობენ ქართველები. ამ პოემისა ევროპაში სულ არა იციან-რა, თუ ანგარიშში არ ჩავაგდეთ გერმანულად შემოკლებული თარგმანი ლეისტისა" („ივერია" 1894 წ. № 198).

მორფილს მიმოწერა და ურთიერთობა ჰქონდა ქართული ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარ-მეცნიერებთან. საინტერესოა მისი ბარათი (1898 წლ.) პროფესორ ა. ხახანაშვილისადმი, სადაც იგი მადლობას უხდის „ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევების" ავტორს, ამ შრომის ორი პირველი ნაკვეთის მოძღვნისათვის. „ჩვენში, საუბედუროთ, საქართველოს ნაკლებად იცნობენ,—სწერდა იხგლისელი მეცნიერი ა. ხახანაშვილს,—მე არა ერთხელ ვსცდილობდი მეამბნა თანამემამულეთათვის იმის შესახებ და იმედი მაქვს კიდევ, რომ როდესმე დავწერავ ამ ჩემთვის მეტად საინტერესო საქმის შესახებ ჩვენს ჟურნალსა და გაზეთებში. ჩემის აზრით, თქვენს შრომაში მრავალი საყურადღებო და საინტერესო ამბავია. თქვენ ლაპარაკობთ არა მარტო სამწერლო ლიტერატურის შესახებ, არამედ ძველ საერო სიმღერებისა და აპოკრიფების შესახებაც... რაც შეეხება რუსთაველის პოემას, მე მაქვს ამ პოემის ორი ცალი (ერთი მდიდრული გამოცემაა, ტფილისში დაბეჭდილი) და ამასთან ს. ,ბოდ მდიდარი წიგნთსაცავი ქართულის წიგნებისა. ამ ახლო მომავლისათვის ვამზადებ თქვენის სინდისიერი შრომის განხილვას და როდესაც დაიბეჭდება, ამ წერილს თქვენც გამოგიგზავნით" („ივერია" 1898 წ. № 182).

უდიდეს ინტერესს შეიცავს აგრეთვე პროფ. ვ. მორფილის წერილი, რომელიც მან „ინგლისის სამეფო საარხო საზოგადოების ჟურნალში" მოათავსა 1906 წელს. ამ წერილში ჩვენი მეცნიერი რეცენზიას უკეთებს ორ წიგნს: ერთი არის არტურ ლეისტის მიერ გერმანულად გამოცემული „ქართველი პოეტები", მეორე—მ. ჯანაშვილის ნარკვევი რუსულ ენაზე „თამარ მეფე". ამ ორ წიგნთან დაკავშირებით, მორფილი იძლევა ინგლისელი მკითხველისათვის საინტერესო ახალ ცნობებს საქართველოზე.

„ქართველების შესახებო, — ამბობს ავტორი, — უწერია რამდენსმე მოგზაურს, მაგალითად ბანს ეან ბრისს, მაგრამ მათი მშვენიერი ქვეყანა მეტად ნაკლებად მოვლილია ინგლისელთა მიერ. ეს ქვეყანა კი უტურფესი კუთხეა დედამიწაზე... მცხოვრებნი ახოვანნი არიან, ერი ღირსია თვისის ქვეყნისა. ინგლისში თითქმის არა იციან რა ამ ერის ენისა და ლიტერატურის შესახებ. მაგრამ უკვე ვხედავთ წინასწარ ნიშნებს იმისას, რომ მალე უკეთ გავეცნობით ამ ქვეყანას; ბან ოლივერ უორდროპმა, ჩვენმა კერჩელმა ელჩმა, მოგვცა თარგმანი ქართველთა შორის გავრცელებულის წიგნისა—„სიბრძნე სიცრუე" სულხან ორბელიანისა; მისმა დამ კიდევ, ქნმა მარჯორი უორდროპმა, არა თუ გადმოგვითარგმნა რამდენიმე ქართული ზღაპარი, არამედ აღგვითქვა, რომ თავისი სიტყვით გადმოგვცემს შინაარსს „ვეფხის ტყაოსნისას", ქართველების საერო ეპოსისას". ქართული მწერლობის განხილვის დროს მორფილი ეხება მე-19 საუკუნის ქართველ პოეტებს და შენიშნავს, რომ მათი „ლექსები და პოემები ფვანცეიფრებენ თავისი ჰანგით". ავტორი ეხება არტურ ლეისტის კრებულში მოთავსებულ ქართველ მგოსანთა შემოქმედებას და დასძენს: „ამ ტომში ყველა ლექსები ლირიკულია. სიყვარულსა და ღვინოს ემატება აგრეთვე სამშობლოს სიყვარული, მაგალითებრ, როდესაც ლაპარაკია ერეკლე მეორის შესახებ". ვ. მორფილი მე-19 ს. ქართველ მოღვაწეთა შორის განსაკუთრებით აღნიშნავს ილია ჭავჭავაძის მნიშვნელობას: „ყველაზე უშესანიშნავესი, მგონია, აწინდელი დროის პოეტთაგანი თავადი ილია ჭავჭავაძეა, რომელმაც განათლება მიიღო პეტერბურგში. იგი ერთი სახელგანთქმულთაგანი მოქალაქეა თბილისისა, ფრიად სტუმრის მოყვარე კაცი. იგი ჰბეჭდავს ეურნალს „ივერიას", რომლის ფურცლებზე ხშირად წაკითხავთ ვრცელს ცნობებს ქართველთა ტომის ზნე-ჩვეულების შესახებ".

მორფილი მეტად დადებით მოვლენად სთვლის არტ. ლეისტის მიერ ქართველ პოეტთა ნაწარმოებების გადათარგმნას და გერმანულ ენაზე გამოცემას, რადგან ამით ევროპელებს საშუალება ეძლევათ ქართულ მწერლობას გაეცნონ. „ტერრა ინკოგნიტას" კარები ეღებაო,—შენიშნავს მორფილი,—ცოცხალი სურათები ქვეყნისა და ასეთისავე მშვენიერის საქართველოს ცოცხალის ერისა თვალწინ წარმოგვიდგება, რაწამს გადავშლით ლეისტის წიგნს".

ავტორი დასასრულ კმაყოფილებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართველებს შეუძლიანთ იამაყონ არა მარტო პოეზიით, არამედ იმითაც, რომ მათ აქვთ „ბევრი მშვენიერი ისტორიული და ეთნოლოგიური ნამუშევარიც". მორფილი ა. ცაგარელთან და მართან ერთად აღნიშნავს დიმიტრი ბაქრაძის, ალ. ხახანაშვილისა და მ. ჯანაშვილის ღვაწლს ქართული ისტორიისა დ. ლიტერატურის კვლევა-ძიების სფეროში. ამ საინტერესო წერილს პროფესორი მორფილი ამთავრებს მეტად ღირსშესანიშნავი სიტყვებით: „შეიძლება დადგეს დრო, როდესაც ინგლისში უფრო მეტს ყურადღებას მიაპყრობენ ამ შესანიშნავ ერს, ბედნიერს, თავისუფლების მოყვარეს, ერს, რომელმაც მრავალ საუკუნეს იბრძოლა თვისთა მთა-გორთა შორის, და ამაყობს თავისი ნაადრევი ქრისტიანობით, რომელიც მიიღო მეოთხე საუკუნეში ქრ. შემდეგ" (იხ. „ნაშრომი" მ. ჯანაშვილისა, 1907 წ. № 2).

ასეთი იყო პროფ. ვ. მორფილის წერილები, და ნარკვევების შინაარსი. მისმა ნაწერებმა, ცხადია, საგრძნობი სამსახური გაუწია ჩვენი ქვეყნის გაცნობის საქმეს ინგლისში. მისი და შემდეგ კი უმთავრესად და-ძმა უორდროპების მეოხებით, ინტერესი შორეულ საქართველოსადმი, კავკასიის მთების სამხრეთით მობინადრე პატარა, მაგრამ დიდი ისტორიისა და კულტურის მქონე ერისადმი, უფრო მეტად გაღვივდა ინგლისელთა შორის. ეს ინტერესი მარტო სამეცნიერო-სალიტერატურო წრეებით არ შემოფარგლულა, არამედ შეეხო აგრეთვე პოლიტიკურ სფეროებსაც. და ამისი საუკეთესო გამომხატველი, სხეათა-შორის, ის ფაქტიც იყო, რომ 1907 წელს, ჰაეაგის საერთაშორისო კონფერენციაზე, სწორედ ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწის, ცნობილი რადიკალი ჟურნალისტის ნევინსონის ხელით იქნა წარდგენილი საქართველოს პეტიცია, სადაც აღნიშნული იყო მეფის მთავრობის მიერ ჩადენილი ისტორიული ბოროტმოქმედებანი ქართველი ხალხის მიმართ.

ქართვლის დედები

იოსებ ნოდეშვილი

ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო!
ნ. ბარათაშვილი

ფაია

მეფემ ჩარიცხა რაზმში ყმაწვილი,
მძიმე ჩაფხუტით მორცხვად რომ წარსდგა
და დღე ცისძარე მახვილაფრდილი
ჯაბუკი მტკიცედ მისდევდა ლაშქარს.
მათე დააოქვეს მებრძოლს სახელად,
თვალის ჩიხივით უყვარდათ მხედრებს
და რამდენჯერაც ძმა ასახელა,
მისი სიცოცხლე ღმერთს შეავედრეს.
მაგრამ ბრძოლაში როცა ვერაგებს
სცემდა, ულეწდა ხმლით მკერდის ფიცარს,
ხანალა გაუპო რკინის პერანგი
და მიესვენა მშობლიურ მიწას.
მისწყდა უეცრად გმირის ქუხილი,
სიკვდილის ჩრდილმა თვალნი დანისლა
და ჩაფხუტიდან დილის შუქივით
გადმოშალნენ თმები ქალისა.
უცხო ხმამ დაჰკრა ქართველთა ლაშქარს,
პირს მუზარადი შეუხსნეს მყისვე
და ახალგაზრდა ჯაბუკის ნაცვლად
წყნეთელი ქალი მაია იცნეს.
გულს გადაჰყროდა მშობელი მიწა
შემოსცვეთოდა ამჯარი რკინის
და კალმახურად გადაეწინწკლა
მის სისხლს ოხერი ფრანგულის პირი.
ქალი ყოფილა სამშობლოს მცველი,
ო, გაოცება ვეღარ დამალეს.
მოვიდა მეფეც და წვეთი ცრემლი
დაეცა თორმე ქერა დალალებს.

მოხუცი მეციხოვნე

„იქ რომ ბებერმა საქმე ჰქნა,
ის არ უქნია სხვასაო,
სამი ბელადი მოგვიკლა
მთელ შეყრილ დაღისტანსაო".
ხალხური

„მტერი მოადგა ქართლის ტრამალებს,
მის ნაჭესლარზე ბალახი ხმება
და ნუსრალ-ბეგი ლეკთა ამალით
მჭადიჯვრის ციხეს უპირებს შებმას.
მშვილდ-კაპარჭები სად არის თქვენი,
ქართველნო, გრგვინავს ლეკთა ლაშქარი.
ანთეთ ცაში ისრები ფრენით
და მაჟარების ბოლი დასძარით!"
ასე იძახდა ერთი ქართველი,
შავად მოსილი მოხუცი დედა.
მისი ჭაღარა თმების ნათელი
ბრძოლის სურვილით ანთებდა მხედართ.
ჩამოწვა ბინდი და როს ურჯულომ
დილამდე მშვიდად ჩაგო ხმალი,
„სამშობლოსათვის!" წაიჩურჩულა
და გადმოეწითო ციხიდან ქალი.
რა წუთი იყო, რა ელვის დარი!
მისმა მახვილმა შუქი გაშალა.
სამ ლეკის ვაჟკაცს მოსტეხა მხარი
და მეოთხესაც სტყორცნა მაჟარა.
გადმოდგა ჯარიც, სცეს და ესროლეს,
დალეწეს ძალა მტერთა ლაშქრისა.
„სამშობლოსათვის!" კვლავ გმირ
მებრძოლებს
თავს დასძახოდა დედა ქართვლისა.

ჟეთევანი

ის ბნელ საკანში მოსჩანს აზიზად
ანგელოზივით დახრილი ფრთებით.
უდგას ქართული ჯვარი ვაზისა,
ფრთხილად შეკრული ქალწულის თმებით.
თვალებზე ცრემლი ვეღარ ეტევა,
შუქნათელ ხელებს აღაპყრობს მალულ,
დაჩოქებული სტირის

როგორ მოკვდა მოხუცი მებადური

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

მებრძოლს, მწერალს, მეგობარს ა. სულავას

დაზვერვიდან ვბრუნდებოდი.

ნ რაიონის მოქმედ პარტიზანების მეთაურმა დამავალა კავშირი გამება წითელი არმიის ერთ-ერთ ქვეგანაყოფთან.

ორი ღამე ზედიზედ ფეხზე გავატარე და ისე მოვეშვი, — ძვალი და რბილი ცალ-ცალკე უნდა მეძებნა.

უფრთხობი ნადირის ბილიკებზე დამათენდა წუხელ.

კიბოსავით გაბარჯღული ქერაძენძა ფეხზე მედგებოდა, ჯუნელის ტოტი სახელოზე მებღაუჭებოდა, რომელიღაც ხვიარა მცენარე თვალის მოთხრას მიპირებდა... ჩამიგდეს ხელში და პატარძლის სანელსე ბალიშივით დამჩხვლიტეს.

ტანისამოსიც ისე დამიფხრიწეს, — კონკებ-ეღარუნა მათხოვარს დავემგვანე.

გათენებისას დავალება შევასრულე და უკანვე გამოვბრუნდი.

გარემოვლა ვამჯობინე, რომ წუხანდელი წეწვა-გლეჯა თავიდან ამეცილებინა.

ლიტაოდ ამლილ ტყეში მყუდრო ბინდი იდგა და ნეშოც ისეთი ხრაშუნა და სურნელოვანი იყო, რომ ტანმა დასვენება მომთხოვა.

ერთი გულადმა დაგდება სამოთხედ მეჩვენებოდა, მაგრამ წელი რომ დავიღე, მაშინვე ვიგრძენი, დაღლილობა უფრო შორს შემიტყუებდა.

ისევ გავყევი კენწეროებს შორის ჩამოცრილ სინათლეს.

ჩახურებული ფოთლის სუნი მცემდა: შუადღე ახლოვდებოდა.

ცოტაც კიდევ და სამშვიდობოს გავახწევდი.

მდინარე უნდა გადამეცურა.

ის-იყო ჩექმები გავიხადე, რომ შორიახლო შიშველი, წვერე-გაბურძგნული მოხუცი შენიშნე.

ხორცდაყრილ ტანზე ძონძივით ეკიდა დამჭკნარი კანი.

ნელა მოჰყვებოდა მოშამბულ ნაპირს და ღრმა დორანებს აკვირდებოდა.

თვალყური მივადევნე.

ერთგან მოხუცმა წყლისპირა ტოტი მოხელა, შუბლზე და იღლიებში წყალი შეისხა და მდინარეში ტყაპანი მოადინა.

მხოლოდ გამხდარ კანჭებს მოვატანე თვალი, — მოხუცმა მაშინვე თავდაყირა ჩაყვინთა.

მალე ამოტივტივდა. ნაპირზე ფრთაწითელი თევზი გამოაგდო, ძხრებზე მოდებული წყალმცენარე მოიცილა და ისევ ჩაყვინთა.

ეხლა მეტხანს დაჰყო დუბელი წყალში და მოზრდილი ღლავი ამოიყვანა.

მესამედაც უნდოდა ბედი ეცადა, მაგრამ გულმა უღალატა: წყალი მოერია და ჩაყურუუმალავება ვეღარ მოახერხა.

ნაპირზე გამოსცურა, გაბურძგნულ წვერზე ხელი ჩამოისვა და კრუსუნით მიწაზე დაეშვა.

წყალს მაგრა გაელახა: სულისთქმა უჭირდა. მივესალმე.

შეკრთა, თითქოს ნადირის ღმუილი გაეგონოს.

ნელა მოიხედა და როგორც ეჭვიან მოხუცებს სჩვევიათ, ხახგრძლივ დამაკვირდა.

მიხვდა, ვინც ვიყავი... კეთილად გამიღიმა და მითხრა:

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს!

ცალპირად ნაქსოვი კაცი იყო, სხმარტლი რომ დასჭკნება, ისე დასჭკნობოდა გალეული პირისახე.

— დაბმული ხომ არ გყავდა, ბაბუ? — გავეხუმრე და ბალახზე დაყრილ თევზებზე ვანიშნე.

— ცოდნას ყველაფერი დაბმული ჰყავს, შვილო! — მშვიდად მიპასუხა მოხუცმა, ხალათი გადაიცვა და ნაღვლიანად განაგრძო: — ადარც ბადე შეგვარჩინეს, ადარც ნავი. ოცა ის ძაღლები მოგვიახლოვდნენ, მეც სულელივით ვიფიქრე, თოფიანი კაცი თოფიანს ებრძვის, მოხუცს ხელს არ გვახლებენ-მეთქი. სოფელში დავრჩი... შემოვიდნენ თუ-არა, სულიდან ხორცამდე გამცალეს, მერე სახლიდანაც გამომაგდეს. მეზობლის ფიცრულში ვათევ ღამეს...

— რატომ ჩვენსკენ არ გადმოხვალ, შე კაი კაცო? ლუკმა პურს არავინ დაგამადლის და გადახურულში მაინც იცხოვრებ.

— ვიცი, შვილო, ჩვენს ქვეყანაში კეთილი კაცი არ დაილევა, მაგრამ...

ყოყმანი დაეტყო.

— ფრონტის ხაზზე გადმოსვლა არც ისე ძნელია, ბაბუ! — გული გავუკეთე მოხუცს, რადგან მეგონა, სოფელში ხოლოდ შიში აჩერებდა.

— არა... განა მეშინია! — მიმიხვდა იგი და ისევ დამაკვირდა.

შევატყვე, რაღაც სათქმელი ჰქონდა, მაგრამ სიფრთხილე ენას უბორკავდა, — და მეც უმალვე ტვინი ავამძრავე, რომ მისი გამაზნევებელი, ნდობის აღმძრელი სიტყვა მეპოვნა.

მოხუცმა დამასწრო და შეთქმულივით წამსჩურჩულა:

— აქედან უფრო გამოგადგებით, შვილო. გამამწარეს და მეც ბოლომდე მივყვები ჩემს სიმწარეს. თქვენთან საპყარივით უნდა ვეგდო. აქ კი... არც ისე გადაყრუებული ბერიკაცი ვარ! გარშემო ყველაფერს ვამჩნევ და ვიმახსოვრებ: ამას წინად შენისთანა კაცი შემხვდა, — მზაკვრულად თვალი ჩამიკრა და წამოდგა: — სულ თითო-თითოდ ჩავუკაკლე, სად რამდენი ფაშისტი იდგა, სად რამდენი ტანკი წახრიგინდა...

ასე გავიცანი მოხუცი მებადური ვასილი ყიგა, სოფელ ჩატირდაგის მეთევზეთა არტელის უხუცესი წევრი.

ბედის ნებიერად ცხოვრობდა მოხუცი გერმანელთა შემოსევამდე.

მოხუცებულობის გამო, მძიმე სამუშაოსაგან განთავისუფლებული იყო.

ბადეს თუ მისცემდნენ ხანდახან თვალის ამოსამკეპად, ან კიდევ, როცა არტელი „დგაფუნას“ გამართავდა, პირველ ნავზე ქუდბედიან მოხუცს დასვამდნენ.

„დგაფუნა“ თევზის ჭერის ძველთა-ძველი ჩვეულება იყო აქაურ სოფლებში.

ყოველ წელიწადს, სექტემბრის დამლევს, უმთავარო ღამეს შეარჩევდნენ და ოცი-ოდე ბრტყელძირა ნავი უხმოდ შეეცურდებოდა მდინარის ანკარა დორანებში.

თვითეულ ნავზე სამი კაცი იჯდა — მენიჩბე, შეჩერაღდნე და „მოდგაფუნე“, რომელსაც ხელში უშველებელი კეტი ეჭირა.

როდესაც ნავები ადრითვე დათქმულ ადგილებს დაიკავებდნენ, ვასილი ყიგა შუათითებს პირში ჩაიდებდა, ჰაერს ღრმად შეისუნთქავდა და ისე დაუსტვენდა, — სოფელში დედაკაცები პირჯვარს გადაიწერდნენ.

სტვენის გაგონებაზე სამოცი მეთევზე ერთბაშად დასცემდა ყიჟინას. გიჟებივით აქნევდნენ ანთებულ ჩირაღდნებს, დორანებში კეტებს ადგაფუნებდნენ და გულგახეთქილ თევზებს პირაღმა მიერეკებოდნენ, მდინარეს მოსახვევში, სადაც სამპირად იყო ჩადგმული საშრობი ბადე.

გათენებისას თავმოდგმით გავსებული ნავები ძძიმედ მიადგებოდნენ ნაპირს, და ვიდრე ქალები ნანადირევს მიხედავდნენ, ღამენათევი მებადურები იქვე ტყისპირას ჩინებულ უხას მოხარშავდნენ.

პირველ ჯამსა და პირველ ჭიქა არაყს, როგორც ქვეყნის წესი ითხოვდა, უხუცეს მებადურს მიართმევდნენ... და ვასილი ყიგაც ბედნიერი იყო.

მაგრამ დადგა ბედუკუღმართი წელიწადი...

— ეხლა რაღა ვარ? კაცი თუ წერო? ასე წეროსავით ვნადირობ თევზებზე, — ჩაილაპარაკა მოხუცმა და თევზები აკრიფა.

ცოტახანს კიდევ ვისაუბრეთ. მერე საგზალი გავუნაწილე და გამოვეთხოვე.

— თუ ძალიან გაგიჭირდეს, გადმოდი, ბაბუ! — შევახსენე წასვლისას, რევოლვერი და ხელის ყუმბარები ჩექმებში ჩავაწყვე და წყალში ჩავედი.

მოხუცი მებადურის გაცნობა დიდი შეძენა იყო ჩემი ხელობის კაცისათვის, და მეც მალე დამჭირდა მისი ერთგული გული და გამჭრიახი გონება.

ზამთრის პირი იყო.

გერმანელთა შორსმსროლელმა ზარბაზნებმა მდინარეზე დაგებული ნავტიკები გაგვინადგურეს და ჩვენი ქვეგანაყოფის შეტევა ჩაშალეს.

ხელახლა ვცადეთ მდინარეზე გადასვლა, მაგრამ მესანგრეთა ასეული სწრაფად გაჭფანტა ზარბაზნის ცეცხლმა.

ჩვენმა არტილერისტებმა გერმანელთა შენიღბული საცეცხლურები ვერ იპოვეს.

მაშინ ჩვენმა პარტიზანული რაზმის მეთაურმა დამავალა მტრის ხერგში ლაზვერვა მომეხდინა.

იმავე საღამოს კარასუ გადავცურე.

ჩემი ვარაუდით, მათი ზარბაზნები ჩატირდაგის მიდამოებში იმალებოდნენ, და მეც უმალვე ვასილა ყიგას ფიცრულს მივაშურე.

დილა-ბნელზე სოფლის გასადევარს მივადექი.

აქედან კარგად მოსჩანდა გაშიშვლებულ სერებზე სოკოებივით ერთმანეთზე მიყრილი, დაბალი, თეთრად შელესილი სახლები. ღილის პირას ნეკერჩხლების კორომი იდგა. მოხუცი მებადურის ფიცრული ამ კორომში იყო შებუდრული.

ყოველ მხრიდან ძილმორეული გუშაგების ბუბუნი მესმოდა, — ეტყობა, სოფელი მაგრა იყო შეკრული, მაგრამ ჩემი იდაყვებისა და მუხლის-თავების იმედი მქონდა. ნაწვიმარ მიწას. გავეკარ და სხივი რომ შეეცურდება ჭუჭრუტანაში, ისე უხმოდ შევცურდი სოფელში.

როგორ გაეხარდა მოხუცს ჩემი დანახვა!

სიხარულმა სიფხიზლეც-კი დაუკარგა: ნახევრად მიხურული დარაბა ფართოდ გამოაღო, რომ ჩაბნელებულ ფიცრულში მეტი სინათლე შემოეშვა და კარგა დავენახე.

შემათვალიერა, გამსინჯა, როგორც დიდიხნის უნახავ ვაჟიშვილს მშობლის მოსიყვარეული თვალი გასინჯავს.

ერთბაშად ადგილიდან მოსწყდა.

— ეხლავე კარტოფილს მოგიხარშავ, ცოტა არაყიც მეშოვება, — მითხრა და კიდობანში თავი ჩარგო.

— დასაჯდომად არა მცალიან, ბაბუ, — შევაჩერე დფაცურებული მოხუცი.

დარაბა მიეხურე, ჩემი მისვლის მიზანი გავაცანი და დახმარება ვთხოვე.

პასუხის მაგივრად მოხუცმა ფანჯარასთან მიმიყვანა.

— გაიხედე!

ვიცოდი, ჰაიჰარად არას მეტყოდა. მაშინვე დარაბა გამოვაღე და თვალი მოკაკლე ატალახებულ შარას და კალოებს.

გზისპირას შიმშილისაგან დავარდნილი ცხენები ეყარნენ. კალოებს გადაღმა-კი, ვიწროო მთაგანზე, სადაც ეხლა თხელი ნისლი ფოფინებდა, ათიოდე ზვინი იდგა, ავდრისაგან ჩაშავებული.

ვერაფერი შევნიშნე ჩემთვის საგულისხმო.

მაშ რატომ გამახედა ფანჯარაში ჩემმა მასპინძელმა? რა კავშირი ჰქონდა ამ ზვინებსა და მომაკვდავ ცხენებს მასთან, რამაც მებადურის ფიცრულში მიმიყვანა?

„სიტყვა ბანზე ამიგდო“, — გავიფიქრე, თუმცა კარგად არც-კი მესმოდა, საიდან მოდიოდა ჩემი ეჭვი.

მოხუცმა წყენა შემატყო.

შემარიგებლად გამიღიმა და მკითხა:

— არ გიკვირს?

— ფაშისტების ხელში კაცს რა უნდა გაუკვირდეს! ალბათ, ცხენები თქვენია და თივა მათი. — ცალყბად გავეხმაურე და ფანჯარას მოვშორდი.

— პირიქით, ბიჭო! — სიტყვა შემატეხა მოხუცმა: — პირიქით, — გაიმეორა და თვალებში ეშმაკური ჭავლი ჩაუდგა: — თივა ჩვენია და ცხენები მათი!

თვალები დავაჭყიტე. რაღაცას თითქოს მივხვდი და ვერც მივხვდი.

— რას ამბობ?! — შევყვირე და ისევ ფანჯარას მივაწყდი.

— ცხენები შიმშილისაგან ეხოცებათ, აგერკი, ჩვენი ამოდენა ზვინები ხელუხლებლად დგანან. როგორ ფიქრობ, გერმანელი ჩვენს თივას დაზოგავს, რამე ანგარიში რომ არა ჰქონდეს?

— ბაშ... ზარბაზნები...

— სწორედ იმ ზვინებში დამალეს!

მკერდზე ხელი მივიდე, — ასე მეგონა, ჩემი გულის ბაგბუგს მთელ სოფელში გაიგონებდნენ.

რა ბედნიერმა ფეხმა შემახვედრა ამ გულისხმიერ მოხუცს! რა სწრაფად და უბრალოდ ჩავიგდე ხელში გერმანელთა საცეცხლურების საიდუმლოება.

შენ გიხარე, ჩემო ვასილი, როგორც ხვალ ჩვენი არტილერისტები გაიხარებენ.

ზვინების განლაგება რუქაზე აღვნიშნე და წასასვლელად მოვემზადე.

— დაღამებას მოუცადე, შვილო! — გამაფრთხილა მებადურმა. — წუხელ ჩვენებმა ერთი გარყვნილი ოფიცერი მოჰკლეს, ქალების მადევარი... მკვლელი ვერ იპოვნეს და ფაშისტები გამწარებულნი არიან. ეხლა გაგიჭირდება სოფლიდან გასვლა.

ყურიც არ ვათხოვე მოხუცის რჩევას. დროზე მიტანილი ცნობა ერთიორად უღირდა სარდლობას, და მეც უმალვე დავტოვე მებადურის ფიცრული.

ვაკეზე რომ დავეშვი, სოფელში ხმაური ატყდა. თავდაპირველად მიწა იძრა მეგონა, ისე გამოცვივდა ხალხი ნაწვიმარ შარაზე.

ღობეს ამოვეფარე.

თოფიანი ჯარისკაცები ქუჩაში ერეკებოდნენ საწოლებიდან წამოყრილ სოფლელებს. ისინი გზადაგზა ისწორებდნენ ნაჩქარევად გადაცმულ ტანისამოსს და ისე დაფეთებულნი იცქირებოდნენ ოთხსავ მხარეს, თითქოს ვერ გაეგოთ, საიდან მოელოდათ უფრო მეტი უბედურება.

ზოგიერთი გაპარვას ცდილობდა. ვინ უკანა ეზოსაკენ გარბოდა, ვინ ღელის პირას ატეხილ ჯაგნარს ეხიზნებოდა. მაგრამ, ეტყობა, ჯარისკაცები ყველგან იყვნენ ჩასაფრებულნი: გაქცეულებს მაშინვე იჭერდნენ და უწყალოდ სცემდნენ.

ასეთ ორომტრიალში გზის პირას დარჩენა სახიფათო იყო.

მივიხედ-მოვიხედე, იქნებ უფრო საიმედო საფარი მეშოვნა, რომ ზურგიდან ყვირილი მომესმა:

— საით, შე ღორო, საით? დაბრუნდი!

სანამ საქმის ვითარებას გამოვარკვევდი, ტანმა უკვე მიგრძნო, რომ მახეში გავეი.

მზვერავი ვიყავ, — ხიფათის ტყუპი, — გუშინ როგორ მიღალატებდა!

„შშვიდად!“ — გავაფრთხილე უეცრად აძგერებული გული და ისე მივიხედე, თითქოს კარგი ნაცნობის ხმა გამეგონოს.

ნეკერჩხლებთან სამი გერმანელი იდგა თოფმომარჯვებული. ისინი მიყვიროდნენ და ქუჩაში დაწყობილ ხალხისაკენ მანიშნებდნენ.

ხელი უნებურად ჯიბისაკენ გაქანდა.

წუთი და — სამი ქალი კიდევ დაკვრიდებოდა გერმანიაში, მაგრამ თავი შევიკავე.

სოფელი ისე იყო გარემოცული, — მეც ადვილად გამომიყვანდნენ წირთას.

არა და—ბედის სასწორზე თავს ვერ დავდებდი, არა იმტომ, რომ განსცდელში ჩავარდნილს სული მემწარებოდა...

არა! ვაკაცობად არავინ ჩამითვლიდა, რომ გერმანელთა საცეცხლურების საიდუმლოება საფლავში ჩამეტანა.

ყოველი ცნობა ჩემ წონა ოქროდ უღირდა ჩვენს სარდლობას.

წელზე ფეხი რომ დამედგა, მაინც ცოცხალი უნდა გავსულიყავ აქედან.

სირცხვილი იყო, ჩემი სული და ხორცი ისე გაჭყოფდნენ ერთმანეთს, რომ შტაბში ორიოდე სიტყვის მიტანა ვერ მომესწრო.

„ჩემი ჩაცმულობის გამო, მეც სოფლელად ჩამთვალეს! იქნებ ამ შეცდომამ გადამარჩინოს, — გავიფიქრე და ყველა „ჰო“ და ყველა „არა“ სწრაფად ავწონ-დავწონე, რამაც დამარწმუნა, ეხლა ჭკუასთან ახლო იქნებოდა, თუ ამ ვირისთავების განკარგულებას შეგასრულებდი.

სიფრთხილე და ვაკაცობა ძმები იყვნენ.

სიკვდილს ყოველთვის მოვასწრებდი...

ყოველ შემთხვევაში, მერე უფრო ძვირად გავყიდდი სიცოცხლეს, ვიდრე ეხლა, როდესაც ცხრა თოკში გამოვლილი ფაშისტები თვალებში მომჩერებოდნენ.

„გლეხობა“ შევიფერე და სწრაფად გავერიე ხალხში.

მალე ვასილი ყიგაც მოჩანჩალდა.

გამოაცა მისმა სიმშვიდემ.

„რაც მომხდარა, მასზე მეტი რა უნდა მოხდეს!“ — ამბობდნენ მისი მოწყენილი თვალები, მაგრამ შემნიშნა თუ-არა, თავზარი დაეცა საწყალს.

თხელი ნესტოები გაღიზიანებული მხეცივით დაებერა...

მაშინვე მხარში ამომიდგა, უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ გულაჩუყებულმა ბერიკაცმა სიტყვა ვერ იპოვნა და მხოლოდ ხელი გადამისვა ხელზე, უშნოდ, გაუჩვეველად მომეფერა, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რამდენი სითბო და სინაზე იყო მაშინ მოხუცის ხელში.

გული მომეწყვა, ისე ეწყინა ჩემი ჩავარდნა, ვანიშნე, ჩუმად ყოფილიყო.

მთელი სოფელი საჯარო მოედანზე შეგვყარეს. გარშემო ჯარისკაცები იდგნენ და შილიფად ჩაცმულ ქალებს მსუნაგად უკრეჭდნენ კბილებს.

წვიმას აპირებდა.

ნახევარ ცაზე შეფენილი ღრუბლები სწრაფად აბნელებდნენ ქვეყანას, ყვავებიც ავბედად ყრანტალებდნენ შიშველ არყებზე...

დროდადრო ძუძუთა ბავშვების ტუჩების ტლაშა-ტლუში ისმოდა. ეს უნაზესი ხმა ოდნავ ამხნევებდა პირქუშ დილას, ანელებდა უბედურების მოლოდინს.

მოედანზე მაღალი, მხარბეჭიანი ოფიცერი შემოვიდა.

ჩვენში რომ იტყვიან, „ფეხებზე მკიდიასავით“ დადისო, სწორედ აგრე შემოვიდა და მაშინვე თარჯიმანი მიიხმო.

პირველად ვასილი ყიგა გამოიძახეს.

— ვინ მოჰკლა გერმანელი ოფიცერი?

— არ ვიცი! — წყნარად მიუგო მოხუცმა.

ოფიცერმა რიყის ქვასავით მძიმე ხელისგული სახეში შემოჰკრა მოხუცს.

ვასილი წაიქცა, მაგრამ მაშინვე წამოდგა და ისე ბეჯითად მიაჩერდა საწვიმარ ღრუბლებს, თითქოს ღრუბლებს ქვევით რაც ხდებოდა, მისთვის მეტად უმნიშვნელო და მოსაწყენი იყო.

ოფიცერმა შუბლი შეიკრა.

ჭკუაში არ დაუჯდა, რომ მოხუცი ასე სწრაფად და შეუპოვრად ფეხზე დადგა. ამტომ მეორედ უფრო მოინდომა და ისეთი „მკვდარი“ ხელი გამოაქანა, რომ ვასილი მოწყვეტილივით დაემხო მიწაზე.

ეხლა უფრო გაუჭირდა წამოდგომა. იდაყვებს დაეყრდნო, მერე ოთხზე დადგა და წელი ძლივს წამოიღო ახლად ფეხადგმულ ბავშვივით.

გახეთქილ ლოყიდან სისხლი სწვეთავდა.

— ვინ მოჰკლა ოფიცერი?

— არ ვიცი!

გერმანელმა მესამედ შემოჰკრა მოხუცს.

მესამედ დაეცა იგი.. იკლაკნებოდა, მიწას ფხოჭავდა, ქვებსა და ბალახს ეჭიდებოდა და მისი მედგარი სული მაინც ებრძოდა ჯანდალეულ სხეულს, რომ ფეხზე დამდგარიყო როგორმე..

სულგანაბული მივჩერებოდი ორთა უთანასწორო ბრძოლას.

არა, არ უნდოდა კოლმეურნე ვასილი ყიგას მიწაზე ყოფილიყო გართხმული გერმანელის წინაშე.

ოფიცერიც გრძნობდა მოხუცის ამაყ გულისთქმას და, როგორც შემართული ჩახმახი, თავზე დასდგომოდა წაქცეულს:

— ნუ ადგები, ბაბუ! — იყვირა სადღაც ხალხში ელდანაცემმა დედაკაცმა, მაგრამ მოხუცმა მთელი ძალა მოიკრიბა, წელში გაიმართა და შვებით ამოისუნთქა:

ნამუსიანად შეასრულა, რაც მისთვის უმთავრესი და უძნელესი იყო.

დარწმუნებული ვიყავ, ცოფმორეული გერმანელი ეხლა-კი მოუღებდა ბოლოს დიდსულოვან მოხუცს, მაგრამ იგი ერთბაშად დაწყნარდა, დაღრენილი პირისახე წამიერ ღიმილში ჩაუდნა... მერე ჯარისკაცებს რაღაც უბრძანა და მუხლის გასამართავად მოედანზე გაიარ-გამოიარა.

მოცვივდნენ ჯარისკაცები და ორიოდე წამში გზისპირას ჩაგვამწკრივეს.

ნაცემი, სისხლში მოსვრილი ვასილი ისევ გვერდში ამომიდგა.

„შენი ჭირიმე, მოხუცო!

„ხანჯალი თუნდაც ხისა იყოს, ოღონდ გული იყოს რკინისა!“ გამახსენდა ძველი ქართული ანდაზა.

ერთი სული მქონდა, დამეკოცნა მისი დაღარული შუბლი, მისი მოწყენილი თვალები, მისი გაბურძგნული ქაღალა...

ოფიცერმა ხელი მწკრივი შეათვალიერა.

— დახვრიტეთ... ყოველი მეხუთე! — ამოკლედ მოსკრა და მოედნიდან გავიდა.

...ყოველი მეხუთე!

გვერდზე მიხედვა და თავის გამოთვლა ვერ მოვასწარი, — გულმა წამსვე მაცნობა, მეც მეხუთე ვიყავი...

უბედურების უმძაფრესმა გუმანმა ყველას ერთბაშად შეგვატყობინა, რომელი ჩვენგანი იყო განწირული.

ისინი მაშინვე გამოირჩნენ ხალხში.

პირველ მეხუთეს, წარმოსადეგ გლეხკაცს, სახეზე მიწისფერი დაედო. კრინტი არ დაუძრავს, მხოლოდ ერთხელ მოიხარა და ჩექმების ყელი მაგრა ამოქაჩა, თითქოს საბუქაოდ ემზადებოდა

მეორე მეხუთე — ახალგაზრდა ქალი იყო, ქერათმიანი. იგი ძუძუს აწოვებდა ბიჭუკას, როდესაც სასიკვდილო განაჩენმა ბოუსწრო.

მონუსხულივით გაშტერდა. მერე ერთბაშად მოეშვა, თითქოს ტანში ერთი ძვალიც არა ჰქონდა მთელი.

ბავშვმა მაშინვე ძუძუს თავი მიანება და ღნავილი მორთო. დედამ ანგარიშმიუცემლად მეორე ძუძუ მიაწოდა.

ბიჭუნამ ერთი-ორი მოწოვა და უარესად გადაფიჩინდა.

ცუდად ამეშალა თავზე ბალანი: მიეხვდი, რძე გაუშრა უბედურ დედას.

... მესამე საბედისწერო ადგილი ჩემი იყო. — გული მწყდებოდა, რომ სარდლობის დავალება ვერ შევასრულე, გული მწყდებოდა, რომ ასე უსახელოდ ვკვდებოდი.

თანაც მეშინოდა, ვაი-თუ სიკვდილის უკანასკნელ წამში ვერ მოვიითმინო და ჩემი ნაგანი ავამოქმედო...

მაშინ ფაშისტი ჯალათები სულერთიან ამოელეტდნენ სოფელს ბავშვიან-ქალიანად.

ამიტომ ვცდილობდი არაფერზე მეფიქრა, ისეთი არაფერი გამხსენებოდა, რაც გრძნობებს ამიშლიდა და წამახდენდა. უნდა გამოვტყდე, ამ ბრძოლაში უძლური აღმოჩნდი.

მაინც მომგონდა იგი... ერთი საწყალი, თავშალიანი მჩატე დედაბერი...

ბავშვობისას ძლიერ მიყვარდა დედასთან დაწოლა.

დაღამებისას მოუთმენლად ველოდი, როდის ბეტყოდა დედა-ჩემი, — „დამიწექი, ბიჭო, საფრხეში!“.

რა ტკბილი იყო მისი სხეულის სითბო, მისი ძილისპირული ლოცვა!

ჯვარი მწყალობს ჯვარცმული,
მე ვერ მაცდენს მაცდური.
მწყალობს წმინდა გიორგი,
თვალი პატიოსანი...

ჰუტუნებდა დედაჩემი და მეც მწამდა, — შეაღამისას ჭიშკარიც რომ დაგვრჩენოდა ვაღებული, ვერავითარი მავნე სული ჩვენს კარმიდამოში ვერ შემობედავდა. აღარც ძილი მიტყდებოდა მაშინ, აღარც ქაჯი მელანდებოდა, ზღაპრიდან გადმოსული.

მაშინ ძლიერი ვიყავ...

როგორ მიყვარდა მისი დიდი საბანი, ჭრელა-ჭრელა აბრეშუმის ნაჭრებისაგან შეკერილი.

— დეიხა, ბიჭო, საბანი! ნუ ასირსიმალებ ფეხებს, თორემ ეხლავე გადაგიყვან შენს საწოლში!—დამექადა ერთხელ დედაჩემი.

მაშინვე თავი მოვიმძინარე. რადგან ვიცოდი, მძინარე ბავშვის შეწუხება ცოდვად ითვლებოდა.

თექსმეტი გრძელი წელიწადი გავიდა ჩემი ბავშვობის დროიდან, მაგრამ დედისათვის თექვსმეტი წუთიც არ გასულა, და შარშან, ვრონტზე გამგზავრების წინა-ღამეს სოფელში რომ ჩავედი, დედა-ჩემმა პირანგა ბავშვსავით ბითხრა მოწიფულ ვაჟკაცს — „დამიწექი, ბიჭო, საფრხეში“.

როგორ უნდოდა წაეშალა, არ დაენახა იგი, რაც დედას შვილის ბავშვობას ამორბედა.

და მეც დავწექი დედის ფერხთით, და მისი ხმელი კანჭები მკერდზე მივიკარი.

აი რა მომაგონდა ეხლა და თითქოს კიდევ მომესმა ნელი ჩურჩული: „დამიწექი, ბიჭო, საფრხეში!“.

სროლის ხმამ შემაკრთო.

პირველი მეხუთე დახვრიტეს და ქერათმიანი ქალის წასაყვანად მოვიდნენ.

დედაკაცები ჩუმად ასლუკუნებდნენ. ქერათმიანს ერთი ხნიერი ქალი დაედევნა, ბავშვის გამორთმევა უნდოდა... ჯარისკაცმა კონდახი ხელზე დაჰკრა და უკანვე გამოაგდო.

არასდროს არ დამავიწყდება ქერათმიანი ქალის თვალები.

ბევრი სიკვდილი მინახავს, ბევრი კარგი და ცუდი სიკვდილი, მაგრამ ეხლა პირველად ვნახე, რომ კაცისშვილი ფეხზე მოკვდა.

მწკრივიდან რომ გაიყვანეს, ქერათმიანი უკვე მკვდარი იყო. არც შიში, არც დარდი, არც სინანული, არც სიტულვილი,—ყველაფერი გამქრალიყო უბედური ქალის ჩინდაკარგულ თვალებში.

ასე იცქირება თვალღიად დარჩენილი მკვდარი...

ერთი კვნესა მაინც დასცდენოდა, ერთი სულთქმა...

იგი მკვდარი იყო და მაინც შესძლო ორიოდე ნაბიჯის გადადგმა, განა მიცვალებულს არ ეზრდება ფრჩხილი და თმა? ეხლა მასაც იგივე ბნელი და იდუმალი ძალა ამოძრავებდა, რომელსაც სიკვდილი ყველაზე ბოლოს ერევა.

დედა-შვილი გზისპირას დახვრიტეს, ჩაქცეულ სანგრებთან.

ჩემი ჯერიც მოვიდა.

ვცდილობდი, სულმოკლეობა არ გამომეჩინა, მაგრამ მთელი ძალა თითებში დამიგროვდა და ერთხანს ხელი ვეღარ მოვწყვიტე რევოლვერს.

მერე, როგორც იყო, თავი დავძალე და ჯიბიდან ცარიელი ხელი ამოვიღე.

უეცრად ვიღაცამ მხარი გამკრა და ჩემსა და მეოთხე კაცს შუა ჩადგა.

მივიხედე... ვასილი ყიგამ ადგილი შემიცვალა.

— ხმა არ ამოიღო! შენ იქ გელიან, შვილო!—წამჩურჩულა და ოფლად გამდნარი ხელისგული ხელზე მომიჭირა.

სანამ გონს მოვიდოდი, ჯარისკაცებმა ოთხი კაცი სწრაფად გადათვალეს და მეხუთეს, ვასილი ყიგას, ჩემთვის გატენილი თოფი ესროლეს.

ასე მოკვდა მოხუცი მებადური, თუ ასეთი სიკვდილს სიკვდილი დაერქმევა.

გათენებისას ჩემი რუქა არტილერისტებს გადავეცი და ათიოდე წუთის შემდეგ ჩატირდაგის მთაგანზე დადგმული ზვინები ცეცხლის ალში გაეხვივნენ.

ჩვენი რაზმი შეტევაზე გადავიდა.

„გმირული დღეები“

ბესო ულენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხალხის საბრძოლო თავგანწირულებისა და უმაგალითო პატრიოტული აღფრთოვანების ცხოველ პოეტურ ანარეკლს წარმოადგენს ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე ქართველი პოეტის ალექსანდრე აბაშელის ლექსების ახალი წიგნი „გმირული დღეები“. კრებულში შესული ლექსები სამამულო ომის მრისხანე დღეებშია დაწერილი და ამ ლექსებში, როგორც მეტყველ სარკეში, აღბეჭდილია დევ-გმირი საბჭოთა ხალხის ვაჟკაცური სულისკვეთება, მისი უტეხი ნებისყოფა, მუხანათ მტერზე გამარჯვების ნათელი რწმენა.

წიგნი იხსნება ლექსით „ცამ დაიქუხა გუშინ“, რომელიც ღრმა სიმართლით და დაუცხრომელი მღელვარებით გადმოგვცემს საბჭოთა ხალხის მრისხანე გულისწყრომას ჩვენს სამშობლოზე ფაშისტური ურდოების ქარცეული და ავაზაკური თავდასხმის გამო:

„ვინ არის სალახანა,
კარებს რომ ძალით აღებს?
იმისთვის ვზრდიდით განა
ჩვენ ამ ბრწყინვალე ბაღებს,
რომ ეს ბაღი და ყანა
ეთელა მურტალ წაღებს!“

ჩვენი ქვეყნის პირველი შეშფოთებისა და საბრძოლო ამხერგების ამსახველ ლექსში პოეტი გამოხატავს ჩვენი წმინდა და სამართლიანი საქმის გამარჯვების იმ ურყევ რწმენას, რომელიც არასოდეს, არავითარი სიძნელისა და განსაცდელის ვითარებაში არ შენელებული საბჭოთა ხალხის შეგნებაში. ასეთი რწმენით და ნებისყოფით აღიმართა თავისი სიცოცხლისა და თავისუფლების დასაცავად გოლიათი საბჭოთა ხალხი და საბჭოთა პოეტებსაც თავიანთი სიცოცხლისა და შემოქმედების ერთად-ერთ დანიშნულებად ამ დიდ ბრძოლაში მონაწილეობა დასახეს.

ა. აბაშელი მიმართავს თავის კალამს:

„დასთმე სიმღერა სხვა ყოველგვარი,
ყოველი კილო, სიტყვა და აზრი,
გარდა ერთისა: მხოლოდ მედგარი
დაგრჩეს ყივილი, ხმალივით ბასრი“.

პოეტი ისწრაფვის, რომ მთელი თავისი სასიცოცხლო ძალა და შემოქმედებითი ენერგია, ყველაფერი, რის თქმაც და გამოხატვაც კი მას შეუძლიან:

„ამ ერთ ყივილში მოზღვავდეს ერთად,
როგორც მომსკდარი მთიდან ლაშქარი.
კალამო! მხოლოდ შემუსვრა მტერთა!
გადაივიწყე სხვა ყველაფერი“.

ამ სიტყვებში ყოველი ჭეშმარიტი საბჭოთა მწერალისა და ხელოვანის შემოქმედებითი მრწამსია გამოთქმული. ა. აბაშელის „გმირული დღეები“ ამ პოეტურ დეკლარაციის განხორციელებას წარმოადგენს.

ლექსში „დედა და შვილი“ პოეტი სამამულო ომის ფრონტისა და ზურგის მთლიანობის განსახიერებას გვაძლევს. ბრძოლის ველზე მიმავალ ვაჟკაცს მოხუცი დედა ეუბნება:

„შენ იქ სისხლს დაღვრი, მე ოფლად
აქ დავეფრქვევი ყანასა,
დღეს ეს ორივე თანაბრად
ყირდება ჩვენს ქვეყანასა“.

მთელ რიგ ლექსებში აბაშელი ხატავს სამამულო ომის გმირთა სახეებს. ამ მხრივ დამახასიათებელია ლექსი „ხევსური ტანკისტი“, რომელშიაც მკაფიო და სადა პოეტური სახეებით გადმოცემულია მამაცი საბჭოთა მებრძოლის გულადობა, უშიშროება, მამულის სახელისა და ღირსებისათვის თავგანწირულება.

საბჭოთა ხალხის ეხლანდელ დიად ბრძოლაში ახალის ელვარებით ცოცხლდება და ჩაუქრობელი შარავანდედით იმოსება ჩვენი ქვეყნის გმირული წარსული, მისი ბრწყინვალე საბრძოლო პატრიოტული ტრადიციები. ეს ახრი მკაფიო განსახიერებას პოულობს აბაშელის ლექსში „შევმუსროთ მტერი“:

„ჩვენს მიწა-წყალზე ოქროს ახვეტა
მტაცებელთ ხროვას კვლავაც უცდია,
მაგრამ ჩვენს მიწას მტრის დასახვედრად
ბევრი ვაჟკაცი გამოუზრდია.
შემოსეულ მტერს შეჰგებებია
ხალხი, ქცეული ერთ დიდ სხეულად,
ხალხს გამარჯვება მუდამ რგებია,
მტერი ყოველთვის უკუქცეულა“.

ამავე იდეით არის შთაგონებული კრებ